

1938

ბიბიკა

ბავშვული
გაზეთი



№ 8

საბჭოთა

1938



პიონერი

საპ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
საპ. განსახორმის მართვისური შუხნალი
ა ბ ვ ი ს ტ რ 1938 წ. № 8

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61

შინააქსი

| | |
|---|-------|
| | 83. |
| 1. შიორგი კაჭახიძე — წყარო (ლექსი) | 1 |
| 2. ივორ ვსემოლოშვი — საუბარი საზღვრის შესახებ (მოთხრობა თარგმანი შ. თაბუკაშვილისა | 2 |
| 3. სანდრო შლენტი — ბანაკიდან სკოლისაკენ (ლექსი) | 5 |
| 4. ლილია მებგელიძე — პარტიზანის ოჯახი (ნამდელი ამბავი ცხრაასხუთი წლის მოძრაობიდან) | 6 |
| 5. მარია მიქელაძე — რემედო (ლექსი) | 8 |
| 6. „მადანას ლურჯას“ ავტორი | 10 |
| 7. შალვა მარინაშვილი — ვერავი დამპყრობელი (დასასრული) | 11 |
| 8. გეორგ დოდოხიანი — მზისადმი (ლექსი) | 13 |
| 9. პერი დილრუქუში (თურქული ზღაპარი, თარგმანი თამარ ბებურიშვილისა | 14 |
| 10. 3. კახიანი — შაგენიანები გარეკან. | 3 გვ. |
| 11. გასართობი | 4 " |

შურნალი გაფორმებულია მხატვრების: დონის და ი. ქოქიაშვილის მიერ.



ბედნიერი ძველის შვილი
ბედნიერი ძველნი ვხარობ...
მოკვდი და კვლავ გულშია,
კვლავ ზაბუჯი დამხვდა წყარო,

მზე დაჰხარის გაუღიღო ტალას,
ჯეჯილს არხებს სიმ ბრილი...
მოქუხს წყარო და სახეზე
დაჰფენი ცაცხვის ჩრდილი.

არ ისვენებს, სულ ჩუხჩუხებს,
ან საღ თქმულა მისი დაღლა!
ფერილ კენჭებზეც საჭირითოდ
ბანუფხვებლივ გზავნის ტალას.

ტალამ შობა, ტალით ხარობს,
არ ყოფილა ჯერ ის მფურალი,
ბავშვობის დროს ბევრჯერ მისგან
წამიღია დოქით წყალი.

მიმელოდა ავე ახლო
მომუშავე ზაბუს ნაღი;
თითქოს ღვინო მომებანოს,
ეძლიოდა ბემო საღილს.

სიცხე გვფავდა, გატარებდით
ფართო ჭუღებს, ზილით ნაქსოვს...
შევედებ წლებზე ჩაირაბა,
და იგი დრო ძლივსდა მახსოვს...

კვლავ რცინის, კვლავ ხარხარებს,
არ ყოფილა ჯერ ის მფურალი,
ვხედვ, ახლა მისგან დოქით
კოლგეურნეს მიავს წყალი.



რა დაუბრობს, იჩუხჩუხებს,
ბევრჯერ დაძღვს სიცხეს, ჭარბუქს...
მოკვალ ერთ დროს ამ ტალარა
და მას ისევ ვნახავ ზაბუს.

ჩემს ბავშვობას, ბანვლილ დღებს
წინ ბამიშლის, მოგაბონებს,
დავაფაფებ ტუჩს, და იგიც
დამიბრუნებს მკლავში ღონეს.

ეს ტალღები ამ კენჭებზე
მარად მგვირცხლად უნდა რაკოდეს...
ო, მეც მიღია სულ ვიჭროლო,
არც დავბერად არასოდეს!



გიორგი კახანიძე

3380

სუბანი სხოვრის მესახე



ორი ბიჭუნა ზის მდინარის ნაპირას ფლატეზე, ისინი ფეხებს იქნევენ. ერთი აქაურია, ქოჩრიანი, მას ცოცხალი შავი თვალეები აქვს. ეს იურკაა. მეორე კი მისი სტუმარია, ძველისძველი მეგობარი. მაშ, მაშ მთელი ორი წელიწადი მეგობრობდნენ ერთმანეთს, მთელი ორი წელიწადი ერთ მერხზე ისხდნენ, ვიდრე ალიოშა (ასე ეძახიან სტუმარს) მამას არ გაჰყვა საზღვარზე.

— ჰო, ჩვენი მდინარე, რასაკვირველია, ამნაირი არ არის, — მედიდურად თქვა სტუმარმა და მდინარეში გადააფურთხა. — ჩვენი მდინარე ფართოა, მღელვარე. ერთი სიტყვით, სასაზღვრო მდინარეა.

— მაშასადამე, თქვენ მათ მდინარეზე იჭერთ, არა? — კითხულობს სტუმრისადმი პატივისცემით აღსაევს იურკა.

— მდინარეზედაც და ხმელეთზედაც, როგორც შეგვხვდება. ჩემი ძმა ფედია მესაზღვრეა, ერთი წლის განმავლობაში 28 დივერსანტი დაიჭირა.

— რას ამბობ! — წამოიძახა თვალეზგაფართოებულმა იურკამ. ეს ძალიან მოსწონს ალიოშას, თითო ყურს იჩიჩქნის და განაგრძობს:

— მან ერთად დაიჭირა ცხრა ძალი — ბანდიტი.

— მართლა? — კიდევ უფრო მეტად უკვირს იურკას.

— ბნელი ღამე იყო, — უამბობს ალიოშა. — მოდის ფედია ხმელეთის საზღვარზე თავისი ერთგული ძალით, რომელსაც ვოლკს ეძახის. ვოლკმა დასუნა მიწას და უცხო კაცის სუნი აიღო. გაჰყვნენ კვალს. მიდიან, მიდიან. გადის საათი, ორი... ისე ბნელა, ისე ბნელა, რომ თვალში თითს ვერ მიიტან, და უცებ წააწყდნენ ცხრა ჯაშუშ-კონტრაბანდისტს.

— უჰ! — წამოიძახა იურკამ.

— თუ არ დამაცდი, აღარ გაიმბობ, — ემუქრება ალიოშა, თუმცა ძალიან მოსწონს, რომ იურკას ასე აღელვებს მისი ნაამბობი. — რა ვქნა, როგორ მო-

ვიქცე? გაიფიქრა ფედია, ძალიან დაფიქრდა — როგორ მოვიქცეთო. ვოლკი ძალიან, ძალიან ჭკვიანია, ბირდაპირ ძაღლებს პროფესორია. ბევრი ფიქრის დროც არ არის. ადგა ფედია და დაუღრიალა: „სდექ!“, და როგორც კი დაუღრიალა „სდექ“, მაშინვე გაშეშდა ცხრა ჯაშუში — კონტრაბანდისტი. ისეთი საშინელი ცხვირპირი აქვთ, ისეთი, რომ ნამდვილი ჯაშუშების!

— ალიოშა, — მოკრძალებით ეკითხება იურკა, — ეს ხომ ღამე მოხდა.

— მერე რა?

— ხომ ბნელოდა?

— ცხადია. თვალში თითს ვერ მიიტანდი.

— აბა, როგორ დაინახა ფედია ჯაშუშების ცხვირპირი?

— როგორ დაინახა? — გააჭიანურა ალიოშამ. ის დაიბნა, მაგრამ მერე უცებ დაახალა: — ფედია, ძამია, ისეთი თვალეები აქვს, რომ ბნელში უკეთ ხედავს, ვიდრე ღლისით. თუ კიდევ შემაწყვეტინე, იცოდე, არ მოგიყვები, — კვლავ ემუქრება ალიოშა.


— დგას, ძამია ცხრა კონტრაბანდისტი, ფედია კი მზვერავენს დაუყვირა: „პეტროსიუხ, თავი დაუარე! აკულოვ, თუ გაიქცნენ, ესროლე! სიდორენკო, მიზანში ამოილე! ვოლკ, შეუბრალებლად ეცი და დაკბინე, თუ საჭირო გახდეს!“

— ალიოშა, კი არ გაწყვეტინებ, მაგრამ, — მორიდებით უთხრა იურკამ, — შენ ძმასთან მზვერავეები რომ არ ყოფილან?

— ცხადია, რომ არ იყვნენ.

— მაშ, აბა, რომელ მზვერავენს უბრძანა?

— რომელს, რომელს! შეაშინა, გაიგე! როცა მამაჩემი იაპონიის კომენდატურაში იჯდა, იაპონელი შეაშინა და დავთრები აურია. იქ გამომძიებელიც იჯდა, ნაგანი ჰქონდა და შაშხანიანი ჯარისკაციც იდგა. მამაჩემი მეორე დილას უნდა დაეხვრიტათ. მაგრამ ის არ შეშინდა, წამოხტა და დაიყვირა: „ამხანაგები მოვიდნენ გამოსახსნელად, ყოჩად“



ბიჭებო, დასცხეთ მაგ ძაღლებს!“ გამომძიებელი წამოხტა, გამოსტაცა ჯარისკაცს შაშხანა და ფანჯარაში გადახტა. ახლა კი მამაჩემი გემის უფროსადაა ჩვენს მდინარეზე. მაშინ რომ დაბნეულიყო, ახლა მამა არ მემყოლებოდა. თუმცა ფედია ამბობს, ალბათ, შენ არც კი იქნებოდიო.

— როგორ, თუ არ იქნებოდიო?— უკვირს იურკას.

— ჰო, არ იქნებოდიო. ეს ხომ ოცი წლის წინათ მოხდა, მე კი თოთხმეტი წლისა ვარ.

— თორმეტის, — უსწორებს იურკა, რომელსაც არ უყვარს ცრუებენტელობა.

— ჰო, მეცამეტეში ვარ, — უპასუხებს ნაწყენი ალიოშა. — რას ჩამაცევიდი! ფედიაც არ დაბნეულა, მოატრიალა ცხრა ჯაშუში საყარაულოსაკენ, უბრძანა „იარ!“ და წამოიყვანა. გვირდით კი ვოლკი მოჰყვებოდა. ასე მოიყვანეს ყველანი.

— დედა, დედა! ალბათ, შეშინებული იყო!

— გინა? ფედია? ვერ მოგართევს! ფედიას არაფრის არ ეშინია. ფედია ამბობს, მე რომ იმათ... რა ჯანდაბა ჰქვიათ... ჰო, დივერსანტებს რომ დავექირე, ნაკუწნაკუწ დამგლეჯდნენო. ჰოდა, ძამია, მოიყვანეს ფედიამ და ვოლკმა ბანდიტები საყარაულოში. ფედიამ დაიყვირა: „სდექ“, ვოლკმაც თავისებურად, ძაღლურად „ამ-ამ!“ ისინი ადგილზე გაშემდნენ. მხოლოდ ახლა შენიშნეს დივერსანტებმა, რომ ისინი მოიყვანეს არა რაზმმა, არამედ ორმა, — ფედიამ და ძაღლმა. გაბრაზდნენ: ეს რომ გეცოდნოდა, შენგან და შენი ძაღლისაგან საცივს გაეკეთებდითო. ფედია კი იცინის. უფროსმა მადლობაც კი გამოუტყხადა.

— ალიოშა, შენ თვითონ ხომ არ შეგხვედრია ჯაშუშების დაჭერა?

— როგორ არა!

— ბევრი დაიჭირე?

— ორი. ერთხელ ერთი უცნობი მოვიდა ჩემთან და მკითხა, საყარაულოს გზა სად არისო, მე კი სულ სხვა მხარეს მივუთითე. წავიდა და ზედ საყარაულოში მივიდა.

— ეს რანაირად მოხდა?

— რანაირად და ჭრელად! იმან იმიტომ იკითხა საყარაულო, რომ რაც შეიძლება შორს ვასცლოდა მას. ერთხელაც ქალი მომიახლოვდა, კარგი ქალი იყო, ალერსიანი! შოკოლადის კამფეტი მომცა, დათვი ესატა ზედ, და მითხრა: ბიჭიკო, ქალაქში მიმავალი გზა მიპასუვლეო. მეც ავდექი და საყარაულოში მივიყვანე. მე, ძმაო, „დათვებით“ ვერ მომიხყიდი! ერთხელაც აი რა მოხდა... — ალიოშას რაღაცა ვახსენდა და სიცილი წასკდა.

— უჰ, რა სასაცილო ამბავია! მე, ბორკა, ვოლკა და ლუბა პაპანიწელობის ვთამაშობდით. არა, ამას სხვა დროს ვთამაშობდით, მაშინ კი ჩაპაევობია გეჭონდა. ჰოდა, ბორკა იყო ჩაპაევი, ვასილი ივანიჩი, ლუბა — ანკა — ტყვიამფრქვეველი, მე კი — შიკრიკი პეტკა. ჩვენ მდინარის პირას ვთამაშობდით

და ის იყო შემოტევა მოვიგერიეთ, რომ ამ დროს გაჩნდა ფედია თავისი ძაღლით. „ვასილი ივანიჩი“ ეუბნება ფედია ბორკას, — თვალუური ცხელი იქნა არავინ გაიჭაჭანოს. ერთმა ბანდიტმა მდინარე გამოცურა და აქ სადღაც მიიმალა. ჩვენ მის დასაჭერად ვართ მოსული. ჰოდა, ფხიზლად იყავით.“

— არ გამოგვეპარება, ნუ გეშინია. ჩვენ პატარები კი არა ვართ! — უპასუხა ფედკას ვასილი ივანიჩმა, ესე იგი ბორკამ.

ფედკამ დაუძახა თავის ძაღლს და წავიდა. ბორკამ უბრძანა პეტკას, შიკრიკს, ესე იგი მე, მიდამოები შეისწავლეო. ჰოდა შევეუდექი მიდამოების შესწავლას და ვხედავ, მდინარეში თიფქოსდა ბანაობს ვიღაცა ახალგაზრდა კაცი, დაცურავს, იფურთხება, ფრუტუნებს. გამოვიდა ნაპირზე, შეძვრა ბუჩქებში და ტანის ჩაცმა დაიწყო. მერე აიღო ფეხსაცმელები და ფეხშიშველა წამოვიდა. მე გავიფიქრე: ჰო, ფეხშიშველა იმიტომ მოდიხარ, რომ შენი ფე-



ხის ხმა არ ისმოდეს მეთქი! პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდა. ჩვენ ბუჩქებში ჩავწექით და როგორც კი მოგვიახლოვდა, დაეყვირეთ: „სდექ“. ის კაცი დაფრთხა, ფეხსაცმელები ხელიდან გაუფარდა, ბორკა კი მკაცრად შეეკითხა:

— ვინა ხარ შენ?

ახალგაზრდა კაცი დაიბნა, თვალებში ცრემლები მოადგა. მე ვეუბნები:

— უპასუხე ვასილი ივანიჩი ჩაპაევს, მას ხუმრობა როდი უყვარს!

— მე, — ამბობს ის ახალგაზრდა კაცი, — ვასილი ივანიჩი, ახალი მხარეული ვარ.

— ჩვენ შენ არ გვინახავხარ, არ გიცნობთ, — ეუბნება ბორკა, — ფეხსაცმელები რატომ არ გაცვივია?

— ფეხი ვიტკინე, ვერ ვიცვამ.

— ჰოო, ფეხი იტკინე? აბა, წამოდი საყარაულოში! — უბრძანა ბორკამ — ჩაპაევმა, — ვაქცევა კი არ იფიქრო, თორემ აქ ირგვლივ სულ ჩვენები არიან,

მესაზღვრე ფედია თავისი საშინელი ძაღლით
და სხვები. ის ახალგაზრდა კაცი აწრიალდა:

— ბავშვებო, მე ამდენი არა მცალია. ჩემ სა-
ბუთებს გაჩვენებდით, მაგრამ ხელთ რომ არა მაქვს.
მე თქვენ ტკბილ ნამცხვარს გაჭმევთ, ამხანაგო ბავ-
შვებო, ჩემთან მოდით სამზარეულოში...

ჩვენ კი ვუბასუხეთ:

— არ გვჭირდება ჩვენ შენი ნამცხვარი და არც
შენი ამხანაგები ვართ!

— მერე, მერე?— შეეკითხა იურკა.

— მერე ის, რომ საყარაულოში წავიყვანეთ.
რომ მიუხაზლოვდით, ფედია და მისი ძაღლი შემო-
გვხვდნენ. ვოლკი მოუძლოდა წელში მოხრილ დე-
დაბერს, რომელსაც ჩინჩხვარი მოჰქონდა.

— აი, ბავშვებო, — გვითხრა ფედია — ეს ბრძან-
დება ის ვაჟბატონი, რომლის შესახებაც გაგაფრთ-
ხილეთ. თქვენა გგონიათ ეს მართლა დედაბერია?

დედაბერმა ძირს დააგდო ჩინჩხვრის კონა, თავ-
საფარიც მოიძრო, და თვალწინ დაგვიდგა გაპარსუ-
ლი ახალგაზრდა კაცი. ჩვენ გადავხედეთ მზარეულს,
რომელიც აქამდის დაღვრემილი იყო, და დაგინ-
ხეთ, რომ ის ხელს ართმევდა ფედიასა და საყარა-
ულოს უფროსს, როგორც ნაცნობებს. ჩვენ გავიტ-
რუნეთ, ვიცდიდით, აბა შემდეგ რა მოხდებაო.

— არწივებო, — გვეუბნება საყარაულოს უფრო-
სი, — დღეს რომელი თქვენთაგანია ჩაბავეი?

— მე, — უბასუხა დაღვრემილმა ბორკამ და წინ
წამოიღდა.

— ეს ნამდვილი მზარეულია, — მიგვითითა ჩვენს
ტყვეზე, — ორი კვირაა, რაც სამზარეულოში მუ-
შაობს.

— ბოდიშს ვიხდით, — სევდიანად ამოილულულუ-
ლა გაწითლებულმა ვასილი ივანიჩმა, ესე...

— ეგ არაფერია, თქვენ ყოჩალი ბიჭები — საყარაულო-
დაგვამშვიდა საყარაულოს უფროსმა, როდესაც და-
ინახა, რომ ჩვენ სირცხვილით არ ვიცოდით რა გვე-
ქნა. — ასეთი სიფხიზლისათვის მაღლობას გიცხა-
დებთ. თქვენ მშვენიერი მებრძოლი ბიჭები ხართ.
გთხოვთ სალამოს მეწვიოთ საყარაულოში ჩაიზე,
ნამცხვარსაც გაჭმევთ.

— ნამცხვარს ხომ მოიტან? — შეეკითხა მზარე-
ულს ამხანაგი უფროსი.

— მოვიტან, — უბასუხა მან და გაიცინა.

— მურაბიანი იქნება?

— დიად.

სტუმარი გაჩემდა. ბავშვებმა ტიები წამოაგეს
ანკესებზე და წყალში გადაისროლეს. ცოტა ხნის
შემდეგ სტუმრის ანკესი შეინძრა. ალიოშამ აჰკრა
ხელი, და მზის სხივებზე ვერცხლივით გაიელვა პა-
წაწა სხმარტალა თევზის ქერცლმა.

— საინტერესო ცხოვრება გაქვთ საზღვარზე, — ოხე-
რით თქვა იურკამ.

ბიჭები დადუმდნენ, ისინი გაიტაცა თევზის ქე-
რამ. მათ წინ მიიკლაკნებოდა მდინარე. იქითა ნა-
პირას მშვიდად ძოვდნენ ბალახს ძროხები. მეორე
ნაპირას მათივე ტოლი ბიჭები იჭერდნენ ანკესით
თევზებს, იქით კი მრავალ ათას კილომეტრზე გადა-
ქიმულიყო უსაზღვრო საბჭოთა მიწაწყალი.

თარგმანი შ. თაბუაშაშვილისა



ბანაკიან ჯოისკე

ეს გარემო ზურმუხტების
მამხნეებს და მმატებს ძალას;
ვით ზამბახი, ჩემი გულიც
აკოკრდა და გაიშალა.

*

დამრჩა ფიქრის ჩუქურთმებად
ცა ლაქვარდი, მწვანე მდელო,
ყოველ ზაფხულს გინახულებთ;
ტყევე, მდინარევე, მთა და ველო!

*

გინახულებთ, თქვენი ემხით
მაშინ უფრო შემაჯრეოლებს,
როს ჩრდილებად მიწის მკერდზე
მზე დაქარავს ხიდან ფოთლებს...

*

ღამე ისევ აქ და ყველგან
ვარსკვლავები იციმიციმებს,
და კიაფით ცას ცისკარი
გადმოაფრქვევს სხივთა მძივებს.

*

განთიადზე სივრცეს გაჭრის
მოჭიკჭიკე მერცხლის ფრთები,
აღმასებით გაბრწყინდება
ეს მდინარე, ტყე და მთები.

*

მომინდება აქ სიმღერა
და ხალისი კიდევ უფრო,
რომ შორიდან გადმოვფრინდე
და ალერსით გესაუბრო.

*

თან მიმყვება ეს ფიქრები
ბანაკიდან სკოლისაკენ,
და სკოლაში, თუ ბიჭი ვარ,
არ ვისწავლი სხვაზე ნაკლებ.

*

მივდივარ და გულში ყვავის
სიხარული, გრძნობით სავსე,
ტყე-ველების სიკეკლუცე,
ლაზათი და სიძვირფასე.

*

რა კარგია ეს ზაფხული
და ნიავის ასე ქროლვა!
საცა არის, ზარის წკარუნს
შემაგებებს ისევ სკოლა...



ნანდრო ულენბი.

სოფიზანის უკახი

(ნამღვილი აზგავი ცხრაას ხუთი წლის მოძრაობიდან)



ამოჩენილი პარტიზანი იყო მირიანი. ქვედა გურიაში მისი სახელი შიშის ზარს სცემდა მემამულეებსა და პოლიციის ჩაფრებს.

ახლა მირიანი ნაბადწამოგდებული იდგა კბებზე თოვით ხელში და ცოლს ეუბნებოდა:

— ცაცუნია, გენაცვალე, ჩვენ ხომ გვინდოდა ბენიერი ცხოვრება, თავისუფლება, თანასწორობა, შრომა და სიხარული, მაგრამ რა ვქნათ ახლა? რევოლუცია წავაგეთ, ახლა ჩემი სადგომი ტყე-ღრეა და ვინ იცის კიდევ ათასი ჯანდაბა. იქნებ ხვალ-ზეგ ჩვენი სახლკარიც გადაწვან. ყაზახ-რუსებს გაერიდე. სიცოცხლე და პატიოსნება ერთია ქვეყანაზე-თავშესაფარი ათასი იზოგება.

— კი, მარა შენ სად მიხვალ, მირიან? — აცრემლებული შეეკითხა ცაცუ ქმარს.

— ცაცუნო, თუ გიყვარდე, ნუ ინახულებ ჩემს ბინას. ეს ჩემსა და ზაზას საიდუმლოებად დარჩეს ცოტა ხნით, — თქვა მირიანმა და ალერსით დაჰკრა მხარზე ხელი თორმეტი წლის ბიჭს, — ჩემი „ვაჟაკი“... ზაზა მე არ გამცემს, ვიცი, და სამ დღეში ერთ-ხელ ამომიტანს ჭადს. მეტს არაფერს გთხოვთ.

გაუდგა ტყისკენ მირიანი.

დეკემბრის დაჟე იყო. ფეხქვეშ პირგაყინული თოვლი ხრაშუნობდა.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. სუსხიანი ქარი სისინებდა და ყინვის ლოლუებივით უძვრებოდა ყურებში მირიანს. გულად პარტიზანს თავისი თავი ისე არ აწუხებდა, როგორც სოფლის მოსალოდნელი დარბევა ტანჯავდა.

ცაცუნია და ზაზა ჯორკოზე მოკუნტული ისხდნენ და ბუხარს ჩასცქეროდნენ.

საღდაც ფოცხვერი კიოდა, ეზოში ძაღლი ყეფდა, და ცაცუს გული უწყალდებოდა.

ზაზას დედის კალთაში ჩაედგა თავი.

მესამე დღეს ზაზამ პირველად წაუღო პარტიზან მამასადილი ტყეში. მაგრამ მამა კარავში არ დაუხვდა. მირიანი წუხელ ღამით მეორე სოფელში წასულიყო ამხანაგებთან ამბების გასაგებად. ზაზამ დარაგებისამებრ აბგაში ჩაუწყო მამას სადილი, ხეზე დაკიდა და უკან

გაბრუნდა ცარიელი კალათით. ტყიდან სერზე რომ აირბინა და გადაიხედა, თეთრიკულებიანი პატარა ოლა აღარ ჩანდა. ოდის ადგილას დაგრაგნილი კვამლი ამოდიოდა. ზაზამ სირბილით გასწია შინისაკენ. მიუახლოვდა ეზოს და ელდა ეცა. წკნელით შეღობილი ეზო სულ მოელეწათ ყაზახების ცხენებს. ოდას ცეცხლი ებრიალებოდა. ოდის დერეფანში წლის სარჩო სიმინდს ტკაცუნე გაჰქონდა. აღმფრთვებული თვალები ყოველ სხარეს მოავლო ზაზამ და დედა რომ ვერ დაინახა, შეფიქრიანდა. სად უნდა წასულიყო დედა? მაგრამ აგერ ყაზახების ცხენებში თვალი მოჰკრა ჰაპანაძეს: მუდოსავით გამოეყო წითელი ცხვირი ყარაბანდულის ყაბალახიდან და მირიანის ხელით შემონახულ ჭაჭის არაყს ოფიცერს სთავაზობდა. აგერ ერთს ყაზახს დაშაშული ღორის ფეხი გამოეტანა და სასოებით ამოედო ილღიაში. მოიხედა ზაზამ და დაინახა, რომ ყაზახი მის წითელ ლამაზ დეკეულს მოათრევდა.



საკმაოდ მოსალამოებელი იყო, მაგრამ თოვლის სითქორზე და ცეცხლის სინათლეზე ყველაფერი კარგად ჩანდა. ნაკაშიძის მოურავმა ჭაპანაძემ ახლა თვითონ გადაჰკრა, არაყი და სავსე ჭიქა ისევ მიაწოდა ოფიცერს.

„წყვეთი ჯაშუში!“ — გამწარებულმა დაიყვირა ზაზამ თავისთვის და საღორის კართან დაგდებულ ქვას წამოავლო ხელი. ცაცია ბიჭი იყო ზაზა. მისი გასროლილი მიზანს არ ასცდებოდა. ჭაპანაძემ მაშინ დაინახა ყმაწვილი, როცა ზაზას გასროლილმა ქვამ წინა კბილები ჩაუწვრილა. ჭაპანაძეს სისხლი გადმოსკდა ცხვირპირიდან. ცხენზე შემჯდარ ოფიცერს ხმაზე ეცა, მოსწია და ენის ბორძიკით უთხრა:

— შეხეთ, ბატონო, ეს კვიმატი ბიჭიც იმ ძაღლის ლეკვია.

— „ჩორნი ჩორტ“ — დაიძახა ოფიცერმა ზაზას დანახვაზე და უბრძანა ყაზახებს შეეთოკათ ყმაწვილი. ყაზახებმა აასრულეს ბრძანება.

— ეს კალათი სად გქონდა, სადილი წაუღე მამაშენს? სად არის მამაშენი? — ეკითხებოდა რუსულად ოფიცერი. ზაზა ერთ ადგილზე, იდგა გაქვავებული, შეთოკილი, ფეხის გადადგმა არ შეეძლო.

მას კარგად ესმოდა რას ეკითხებოდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდა, ყურში არ უშვებდა. ზაზა ისევ დედას დაეძებდა თვალებით და ელანდებოდა, ამ დახვეულ კვამლსა და ალს იქით თითქოს დედის კაბას ებრიალებოდა ცეცხლი.

გაბრაზებული ოფიცერი გადასწვდა ზაზას, მხრებზე მათრახი გადააწნა და ხმამაღლა ჩასძახა:

— სოქვი, ბიჭო, სად არის შენი ავაზაკი მამა? სოქვი, თორემ მოგკლავ, დაგწვავ!

ზაზა მათრახის სიმწვავისაგან ოდნავ დაიმანჯა, ზიზლით შეხედა ოფიცერს და ისევ ცეცხლს მიაშტერდა. ამ წუთს ზაზას ყურში ვანუყრელად მეორდებოდა მამის უკანასკნელი სიტყვა: „ზაზა მე არ გამცემსო“, და, მართლაც, ზაზამ არ გასცა მამა.

— ტფუი! „ჩორნი ჩორტ“ — დაიყვირა ისევ ოფიცერმა და ასწია ხელი.

ყაზახებმა წამსვე მოხვიეს ხელი შეთოკილ ყმაწვილს და ბურთივით შეაგდეს გავარვარებულ ბუხარში.

ოფიცერმა ცხენი შეაბრუნა და ბრძანა: გაუხსენით დედაკაცს ყბა და ხელ — ფეხიო. ყაზახმა ბრძანება შეასრულა, გაუხსნა ცაცუნისა ყბა, შეხსნა თოკი და ცოცხალმკვდარი დააგდო თოვლზე. ჰკრეს ცხენებს მათრახი და გაუდგნენ გზას.

გახურებული ცხენები მარდად ხტებოდნენ ბორ-

ცვებზე და ქიხინებდნენ, თითქო დასკინობდნენ დამარცხებულთ. ზაზას ლამაზი დეკნა ყელგამიოდრული გადაეკიდათ მარქაფა ცხენზე და მტკნარად შებუღი ყაზახები მხიარულად მიხირობდნენ ოზურგეთისაკენ.

ცაცუნამ თვალები გააღო და „ცეცხლიო“ დაიკვილა. ფეხზე წამოიჭრა და დაიწყო ტანისამოსის გლეჯა. მერმე გაშალა ხელები და გაიქცა. მიბრბოდა და ყვიროდა ქვეყანა იწვისო. ხან ვარსკვლავებს გვაყრიან თავზეო და გარბოდა, გარბოდა „უცეცხლო ქვეყნისაკენ“, მაგრამ ვერსად პოულობდა



„უცეცხლო ქვეყანას“. ასე ირბინა საწყალმა ცაცუნამ ზღვამდის და როცა უზარმაზარ ზღვას მიაღწა, ხელებ გაშლილი შევარდა ტალღებში, და ზღვის გუგუნში შთაინთქა მისი კვილი.

* *



ხრასს ხუთი წლის დეკემბრის უკანასკნელი ღამე ილეოდა. ახალი წელი თენდებოდა.

საღლაც მამლებმა იყივლეს.

მთებს იქით გაშლილი ჰორი-ზონტი თოვლისფერმა ალიონმა შეფერა. ისევ იყივლეს მამლებმა გათენების, მაგრამ სოფელი მკვდარივით დუმდა. არავის თოფი არ გაუსროლია, არც ჩიჩილაკი გაუწყვიათ წითელი კურკანტელით.

გათენდა ცხრაას ექვსი წელი. სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ კბილებჩამტვრეულმა ჭაპანაძემ გამოიტანა თოფი და სამჯერ ისროლა. „გაჯობეო!“ გადასძახა სოფელს და გობზე დადებულ ღორის თავს პირველმა მოაჭრა ყური, ღვინით სავსე ჭიქა აიღო და შემოსძახა „ჟამი—ერ—ერ... ჰოი და მრა—ვალ ჟა—მი—ე—ერ“. ცოლშვილს ახალი წელი მიულოცა და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

ამ დროს გაფითრებული მირიანი ამოდრიდა სერზე, იმ ბილიკით, საიდანაც გუშინ ზაზამ ამოირბინა. მირიანმა იცნო გაყინულ თოვლზე ზაზას პატარა ფეხების ნაკვალევი. მაგრამ არ იცოდა ახლა სად იყო მისი „ვაჟაკი“, ან ცაცუმ სად შეაფარა თავი. გადმოიხედა სერიდან, მის ეზოში მარტო გარუჯული ბუხარი იდგა. მირიანი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ნასახლარისაკენ. სალორეში შეიხედა, არავინ იყო. ბუხარს მოუარა და დააცქერდა. ბუხრის თაროზე უშუშო დიდი ლამპის ფეხი იდგა. ბუხარში დამწვარი ჯირკი მოეჩვენა, მაგრამ ეს ჯირკი ჯირკს არ გავდა. დააცქერდა მირიანი და ჯირკის მაგიერ ბავშვი გამოესახა. მირიანის თავში თითქო ყუმბარა გასკდაო, პირქვე დაემხო გულადი პარტიზანი და შუბლი ბუხრის ქვაზე დაახალა. დიდხანს ეგდო ასე. როცა გონს მოვიდა, თითოეულად მოსინჯა თავისი „ვაჟაკის“ დანახშირებული ძვლები. ზაზა მიქედლილივით იქო ზურგით მიკრული ბუხარში. დამწვარი ძვლები დაუშლელი იდგა ქანდაკებასავით. ახლა მართლა „ჩორნი ჩორტს“ ჰგვავდა ზაზას დანახშირებული ჩონჩხი და თავის ქალა.

უბედურმა მამამ სალორესთან ბარი ხახა დაგდებული, აიღო და ბუხრის წინ გათხარა საფლავი. მოიხსნა ნაბადი, ფრთხილად აკრიფა შვილის ნახშირად ქცეული ძვლები და ფერფლი, გაანვიდა ნაბადში და დაასაფლავა. ეზოში დიდი ლოდი ეგდო, გაზოგორა და დაადვა საფლავს. ცაცუნია აღარ მოუკითხავს მირიანს, მისთვის გასაგები იყო, რომ ცაცუ ცოცხალი აღარ იქნებოდა.

დიდხანს იდგა მირიანი, დასცქეროდა ლოდს და აგონდებოდა ოთხი დღის წინ იქ გაშლილი პატარა სუფრა, უკანასკნელი ტკბილი ვახშამი ცოლშვილთან და გულთბილი საუბარი. ამ ტკბილადგილას ახლა თავისი „ვაჟაკის“ საფლავს ტოვებდა ობლად. ბარემ მირიანსაც უნდოდა აქ გაეთხარა თავისთვისაც საფლავი, მაგრამ წითელ პარტიზანს დიდი მოვალეობა აწვა მხრებზე.

დაჩაგრული, დაბეჩავეებული სამშობლოს სიყვარული ცეცხლივით ბრიალებდა უტეხი რევოლუციონერის გულში და ახალი ბრძოლებისაკენ უნათებდა გზას.

მარიკა მიქელაძე



რემედო

1

რემედოს აღარ ესმის, თუ რა ხდება ირგვლივ, ლურჯ ზეცაზე ვეღარ ხედავს თეთრ ღრუბელთა გვირგვინს. ვეღარ ხედავს მწვანე ველზე მზით ანთებულ ვარდებს, ვეღარ სუნთქავს გაზაფხულის მსუბუქ სილამუვარდეს. ესპანეთის მთას და ველებს სქელი ჯანლი ბურავს, და დაძრწიან ფაშისტები დაუნდობლად, მგლურად: ზეცის თაღი აუვსია პროპელერთა ხრიალს, მთა და ბარად ყველგან მკვდრები, ყველგან მკვდრები ყრია!


2

რემედო სადღაც მიჰყავს ლტოლვილების ტალღას, ყველგან სისხლი, ცხელი სისხლი გადაშლილა თალხად, — ასეთია ფაშისტური სინდისი და წესი... შეავთვალემა რემედო სნეულივით კენესის, იგონებს, და მოგონების დასასრული არ ჩანს... გულგაფატრულ დედას თვალი გახელილი დარჩა.

გემზე არის რემედო (გემს სწორი აქვს გეზი), ზის გემბანზე მოკუნტული, გული ისევ კენესის, დაჟინებით უცქერს გოგო ლურჯ ტალღების ფარჩას, ო, ეს თვალი! დედას თვალი გახელილი დარჩა! გემი აპობს შეუპოვრად ლურჯ ტალღების სისქეს. და გემს მიჰყავს რემედო საბჭოეთის მზისკენ.



რით შეხედება რემედოს ეს უცნობი მხარე?
 რით შეხედება, ან რას ეტყვის, ან რით გაახარებს?
 დარწმუნებით მიდის გემი, მას სწორი აქვს გეზი,
 მოკუნტულა რემედო, მისი გული კენესის.



ჩაეძინა და სიზმარში რემედო ხედავს
 მსხვილნაწნავებუა დაშვებულ, გაცილებულ დედას.
 იგი მოდის შვილისაკენ ლოყაწითელ ვაშლით.
 — დედა! — ყვირის რემედო და ორივე ხელს გაშლის.
 მაგრამ... გაქრა ის ჩვენება, და კვლავ ცხადად ხედავს
 სისხლის ღვარში აკურებულ თვალგახელილ დედას.

3.

ძილში მტირალ რემედოს აღვიძებდა ვიღაც:
 — გაიღვიძე, რემედო, აწ ყოჩაღად იყავ!
 წამოიჭრა, დაინახა რაზმის ხელმძღვანელი.
 ჩამოეშვა ნაწნავეები, როგორც ორი გველი.
 გემზე იდგა ყვავილების, სიმღერების თქეში.
 ჰკითხა: — „სად ვართ?“ უპასუხეს:
 საბჭოეთის მზეში!



შავთვალა და შაენაწნავა ესპანელი ბავშვი
 უხმოდ იდგა საბჭოეთის ბიონერთა რკალში;
 მათი ცხელი თანაგრძნობა დარდის ყინულს ადნობს.
 მან არ იცის მათი ენა, როგორ უთხრას: „გმადლობთ“?
 ის შეირხა, გადიხარა მათკენ მთელის ტანით
 და წარმოთქვა გულმხურვალედ ერთი სიტყვა: „ს ტ ა ლ ი ნ!“





თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე, ცხოვრობდა შესანიშნავი ქართველი მწერალი-ქალი ეკატერინე გაბაშვილი.

იგი ძლიერ მოხუცი იყო, ოთხმოცდაშვიდი წლისა. თმა სულ გათეთრებული ჰქონდა, წარბებიც გათეთრებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ყოჩაღად იყო: კითხულობდა წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, წერდა ხანდახან...

მხედველობაც ძველებურივე შერჩენოდა, ადვილად არჩევდა ყველა საგანს, არ ხმარობდა სათვალეებს...

როცა მოესურვებოდა, დაიჭერდა ჯოხს ხელში და წავიდოდა სადმე: მწერალთა კავშირში, ლიტერატურულ საღამოებზე, თეატრებში, სკოლებში, ბავშვებთან... ძალიან, ძალიან უყვარდა მოხუცს ბავშვები, სიამაგიეროდ პატარებსაც არანაკლებ უყვარდათ სასიქადულო მწერალი.

მას მოწონებოდა ეპყრობოდნენ, პატივს სცემდნენ, აფასებდნენ. ბევრი ბავშვი გაწითლებულა სიხარულით საყვარელი ადამიანის დანახვაზე, ბევრს გულიც კი ასძვრებია მაშინ!

რა ექნათ პატარებს: რამდენიმე ხნის წინ გატაცებით წაეკითხათ მშვენიერი მოთხრობები: „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია ვადაიჩხა“, „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“ და სულერთიანად მოხიბლულიყვნენ. მაინც „მაგდანას ლურჯა“ მოწონებოდათ მეტისმეტად. ამიტომ შეჰყვარებოდათ მწერალი.

„ნეტავ ხშირად გვანახა ის, ვინც ასეთი მოთხრობები დაგვიწერა, — არაერთხელ უფიქრიათ ნორჩ მკითხველებს, — გვასაუბრა მასთან“.

და უჩვეულოდ უხაროდათ იმ დროს, როცა თა-

ვის ნატვრას აისრულებდნენ. მერე მასწავლებელი წუთები იშვიათი როდი იყო! თბილისელ ბავშვებს ბევრჯერ შეხვედრიათ მსცოვანი მწერალი.

აი, ამ ზაფხულზედაც, ამ ცოტა ხნის წინაც უსაუბრია მას პატარებთან, უსაუბრია თავისუფლად, ყოჩაღად!

ვინ იფიქრებდა მაშინ, თუ მალე დადუმდებოდა ეს ტკბილად მოუბარი ბავშვ! მოხუცი იყო, მაგრამ მაინც ვინ იფიქრებდა!

ამიტომ ყველა დაამწუხრა მოულოდნელმა ცნობამ: შვიდ აგვისტოს სოფელ წითელქალაქში გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი ქალი ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი.

რამდენმა ბავშვმა ხელმეორედ წაიკითხა მსცოვანი მწერლის მოთხრობები, რამდენმა ბავშვმა ხელმეორედ წაიკითხა მსცოვანი მწერლის ბიოგრაფია, წაიკითხა ნათელი ხსოვნისათვის!

დიდხანს არ მოშორებია თვალები სტრიქონებს, სადაც ეწერა: ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა ქალაქ გორში 1851 წლის თხუთმეტ ივნისს. აქ ცხოვრობდნენ მისი მშობლები.

როცა რვა წელი შეუსრულდა პატარა კატოს, მამამ წაიყვანა თბილისში სასწავლებლად. აქ პირველად გერმანელების სკოლაში მიიბარა, საიდანაც შემდეგ სომეხი ქალების — ამბარდნოვების პანსიონში გადაიყვანა.

თორმეტ წლამდის ამ პანსიონში სწავლობდა კატო. მერე გადაწყვიტეს მისი მიბარება ქალთა ინსტიტუტში, მაგრამ პატარა გოგონამ რუსული სუსტად იცოდა და ამიტომ ინსტიტუტში არ მიიღეს.

მაშინ კატოს ფრანგი ქალის — ფაბრის პანსიონში დააწყებინეს სწავლა.

აქ მასწავლებლებად იყვნენ პოლიტიკური დამნაშავენი: პოლონელი პროფესორები და მეცნიერები, უკრაინელი პოეტები და ლიტერატორები. მათი დახმარებით კატომ ბევრი რამ შეისწავლა.

პანსიონში ქართულსაც ასწავლიდნენ. ქართულის მასწავლებლებად მოწვეულნი იყვნენ საუკეთესო პედაგოგები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ინაშვილი და ნიკო დედაბრიშვილი. ამიტომ კატომ საფუძვლიანად შეისწავლა დედაენა.

1868 წელს ეკატერინემ დაამთავრა ფაბრის პანსიონი.

1870 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა მისი პირველი ნაწარმოები „გლეხკაცობის აზრი სასოფლო სკოლაზე“. მას მოჰყვა ბევრი მოთხრობა.

იმ დროიდან ნაყოფიერად მუშაობდა ქართულ მწერლობაში, მუშაობდა საბავშვო ლიტერატურაში.

პიონერები და მოწაფეები სიყვარულით სწავლობენ ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებს.

ურავი დამპყრობერი

დასასრული *)

ტრაგედია უდაბნოში



რთი თვის შემდეგ კამბიზმა კვლავ სალაშქროდ გამზადა ჯარი, მაგრამ ახლა სხვა მხარის დასაპყრობად. ეთიოპიაზე სამუდამოდ აიღო ხელი.

ორმოცდაათათასი შეიარაღებული სპარსელი გაემკვავრა ოაზისის უაგამონის მოსახლეობის და-

სარბევად და მისი ტაძრის ამონ-რას გასაძარცვად. გზის მაჩვენებლად თან ოცდაათი ეგვიპტელი გაიყოლეს. არც ერთმა სპარსელმა არ იცოდა მდიდარი ოაზისის გზა და უნებლიედ თავისი ბედ-იღბალი ეგვიპტელებს ჩააბარეს.

გამკვავრების წინ კამბიზმა გამყოლი ეგვიპტელები უხვად დასაჩუქრა და უკან დაბრუნებისას კვლავ დიდ საჩუქრებს შეჰპირდა. ეგვიპტელებმა საჩუქრები დიდი სიხარულით მიიღეს, მაგრამ გულში კი სხვა განზრახვა ჰქონდათ. მათ ახლა ეძლეოდათ საშუალება ესარგებლათ შემთხვევით და სპარსელებზე შური ეძიათ. გადაწყვიტეს სპარსელების დალუპვა უდაბნოში...

ოაზისი უაგამონი ლივიის უდაბნოში მდებარეობს და ეგვიპტიდან ოთხი-ხუთი დღის სავალზეა. მისი ნიადაგი ნოყიერია და მოსავლის უხვი მომცემი. აქ არ არის ბარაქიანი ნილოსი, მაგრამ სამაგიეროდ დედამიწის სიღრმიდან უხვად სცემენ წყაროების შადრვენები. წყარო უამრავია, მაგრამ მათ შორის გამოირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით ერთი დიდი წყარო. ეს წყარო მზის ამოსვლამდე თბილია, მაგრამ მზის ამოსვლასთან ერთად თანდათან ცივდება, და როდესაც მზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწევს, ყინულივით ცივია. მაგრამ როგორც კი მზე დასავლეთისაკენ იწყებს გადახრას, წყაროც თანდათან თბება და შუალამისას საგრძნობლად გამთბარია. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ იშვიათ წყაროს სახელად „მზის გასალეები“ დაარქვა და მის ახლოს ააგო უზარმაზარი ტაძარი.

* *

ლივიის მთები სპარსელებმა მშვიდობიანად გადაიარეს და უდაბნოსაკენ დაემკვინენ. უდაბნოში საშინელი ბული ტრიალებდა, გავარვარებული სილა ფეხსაცმელებს წვავდა და ფეხებს საშინლად ახურებდა. აუტანელი სიცხით სპარსელებს სული ეხუთებოდათ და სუნთქვა უძნელდებოდათ. პირველი დღის მოგზაურობამ სპარსელებზე ცუდად იმოქმედა, მეორე და მესამე დღეს ხომ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ; ბევრს გონება ეკარგებოდა, გზაში ვარდებოდა და გახურებულ სილაში იღუპებოდა. წყალიც შემოეღოათ და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

სპარსელების წინ მძიმედ მიაბიჯებდნენ დაღვრემილი ეგვიპტელები. ყოველ მათგანს მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: დაეღუპათ სპარსელები, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მათთან ერთად ისინიც უნდა გამხდარიყვნენ უდაბნოს მსხვერპლნი.

მეოთხე დღეს სპარსელებმა სილის ბორცვებს იქით ნათლად დაინახეს პალმები და შობიბინე ველი. ამ სურათმა სპარსელები გამოაცოცხლა და აღაფრთოვანა.

— ვაშა! ვაშა! გადავრჩით! გადავრჩით! — ყვიროდნენ გახარებული სპარსელები და ოაზისისაკენ მირბოდნენ. შეიქმნა ერთი ორომტრიალი; ყველა ცდილობდა გაესწრო სხვებისათვის და პირველი მისულიყო... აი, როგორც იქნა, ბორცვებს მიუახლოვდნენ, მაგრამ ოაზისი ახლა სხვა ბორცვებს იქით მოექცა. ილაჯგაწყვეტილი სპარსელები რის ვაივავლახით მიიწევდნენ წინ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, სანატრელ ადგილს მაინც ვერ აღწევდნენ. მათთან ერთად ოაზისიც თითქოს წინ მიიწევდა და გარბოდა...

— დავიღუპეთ, მოჩვენებაა, — დაიღრიალეს სასოწარკვეთილებით სპარსელებმა და ღონემიხდილნი ცხელ სილაზე დაეყარნენ...

ოაზისი, რომელიც სპარსელებმა დაინახეს, იყო მხოლოდ მოჩვენება, ანუ, როგორც ეძახიან, მირაჯი. ასეთ მირაჯებს უდაბნოში მოგზაურები ხშირად ხედავენ.

*) იხ. „პიონერი“, № 6.




სპარსელები კვლავ ხედავდნენ ოაზისის მირაჟს, მაგრამ მისკენ აღარ მიიწევდნენ. უეცრად ოაზისი გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ ამოვარდა ცხელი ქარი. გავარვარებული სილის ღრუბელმა დაჩრდილა რამდენიმე წუთში მზე და უდაბნო ბურუსში გაახვია. სილის ღრუბელი საოცარი სისწრაფით ტრიალებდა და აქეთ-იქით დაქროდა. ისეთი აუტანელი სიცხე დატრიალდა, რომ ადამიანს ეგონებოდა ჰაერი იწვის და არემარე ხანძარშია გახვეულიო: ჰაერის წითელი ფერი ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა... აქლემებმა იგრძნეს უბედურების მოახლოება, სწრაფად ჩაიჩოქეს და თავი ცხელ სილაში ჩარგეს.

საშინელი სურათი დატრიალდა, ჯარი პირქვე დაემხო და ყველა ცდილობდა რაიმე გადაეფარა და ამ გზით თავი დაეცვა გახურებული სილის ქარისაგან...

რაც დრო გადიოდა, ქარი უფრო და უფრო მძვინვარებდა. აუარებელი სილის ღრუბლები ხან ზეცას ავარდებოდა, ხან დაბლა დაემშვებოდა. სილაზე გაკრულ ხალხს სუნთქვა დაუძიმდა, გახურებული სილა ცხვირსა და ყურებში უცვიოდათ, თავი საშინლად ასტკივდათ.

გავარვარებული ქარი კვლავ ბრიალებდა და უდაბნოს ცეცხლს უკიდებდა... რამდენიმე საათის შემდეგ ქარი ჩადგა, სილის სქელი ღრუბელიც დაბლა დაემშვა, და როდესაც მზემ კვლავ გააბრწყინა უდაბნო, ერთ ადგილას ამობორცვილი ადგილი გამოჩნდა. აქ იყო ცხელ სილაში ცოცხლად დამარხული სპარსელების ორმოცდაათათასი ჯარისკაცი და თავგანწირული ეგვიპტელები.

უკანასკნელი სურვილი



ოდესაც კამბიზმა თავისი ჯარის დაღუპვის ამბავი გაიგო, დაჭრილ ნადირივით აღრიალდა და სიბრაზით კბილებით ხორცს იგლეჯდა.

— ცხენი! დაიძახა მან ბოლოს. — საკუთარი ხელით უნდა ამოვხოცო მოლაღატე ეგვიპტელები!

ცხენი დაუყოვნებლივ მოჰვარეს, და განრისხებული კამბიზი ელვის სისწრაფით ზედ მოევლო... მაგრამ ქარქაშიდან გამოვარდნილ მახვილზე მარცხენა გვერდით დაეგო. საკუთარი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრილი კამბიზი გონებაშიხდილი გამოვარდა ცხენიდან.

რვა დღესა და რვა ღამეს ებრძოდა სიკვდილს

კამბიზი, არ უნდოდა ადვილად დაეთმო სიცოცხლე, თუმც სხვებს ადვილად ართმევდა. საშინელ წამებაში აღმოხდა ბოროტ კაცს ბოროტი სული. მისი უკანასკნელი სურვილი იყო მკაცრად დაესაჯა „მოლაღატე“ ეგვიპტელები.

კამბიზის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტე კვლავ სპარსეთს დარჩა, ორასი წელი გმინავდა ეგვიპტე სპარსეთის მონობის უღელ ქვეშ, რამაც ქვეყანა ააოხრა და გააპარტახა...

გავიდა ხანი. საბრძოლო ასპარეზზე გამოჩნდა ახალგაზრდა ბერძენი, სახელგანთქმული სარდალი ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც სასტიკად დაამარცხა სპარსეთი და მისი ძლევა მოსილება საბოლოოდ წელში გაწყვიტა, მან წაართვა სპარსეთს ყველა დაპყრობილი ქვეყანა და მათ რიცხვში ეგვიპტეც. ეს მოხდა 331 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.



გეოგრაფიული ცენტრის ერთ მებაღე შესანიშნავ ლექსს „მეცხალს“ (სომხურად „წიწკანას“). იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ამ ლექსის ავტორია ცნობილი სომეხი პოეტი გეოგრაფიული.

დომონტიანი მცხკარამბე საუკუნეში მოღვაწეობდა. დაიბადა 1830 წელს.

პატარაობიდანვე მას ძლიერ აინტერესებდა სწავლა. სწავლობდა ბეჭდვით, მონღოლებით. 1859 წელს დოკტორის უნივერსიტეტიც დაამთავრა.

ამ დაწერა მან მრავანი ლექსი „მეცხალი“. რომელიც მალე გავრცელდა ყველგან. ამ ნაწარმოებში იყო ცნობილი დომონტიანი, რამდენიმე თვის წინ კი აღმოაჩინეს მისი გამოუქვეყნებელი ლექსები. ეს ლექსები იჭირავს მართლმადიდებელს.

დომონტიანი თავის შემოქმედებაში ებრძოდა მძიმეებს, ვაჭრებს, სასულიერო პირებს, ჩინოვნიკებს, ამიტომ სდამნიდნენ მას.

1908 წელს გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და მის დაკრძალვას მხოლოდ ათი-ოდე კაცი დაესწრო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა ნიჭიერი გეოგრაფიული.

მზეო, მზეო, სიცოცხლისა მომნიჭევე,
გამობრწყინდი, სხივებს ჩვენთვის ნუ იჭერ,
შემოგნატრის მდელი, კაცი, ცხოველი,
გამობრწყინდი, მოგვე სხივი ცხოველი.

* * *

თვით ოდიდან ყველა შენ გეტრფილა,
მოგვიტანე შუქი ცხელი, ბრწყვილა,
შემოგირტყამს ჯანყები და ბინდები,
მწუხარედ ვართ, რატომ არა ბრწყინდები!

* * *

გიშე გაირღვა ღრუბლებისა ზეწარო,
დილაც არის! შუქიც არის! მზეც არი!
გამიქარვა წუხილი და ვარამი,
მზევე, მიიღე გულითადი სალამი!

თარგმანი ი. გრიშაშვილისა



ქრონიკონოყკუბი



(თ უ რ ძ უ ლ ი ზ ლ ა კ ა რ ი)

იყო და არა იყო რა, ერთ შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდა სამი და. ყოველდღე გათენებამდე დები ქარავდნენ, კერავდნენ და ართავდნენ. დადგებოდა დილა, და ერთ მათგანს მიჰქონდა ნამუშევარი ბაზარში და გამორჩენილი ფულით ყიდულობდა საქმელს, სასმელსა და სათბობს. ამ ქვეყნის მფლობელი ერთხელ რაღაცაზე გაუწყრა თავის ხალხს და აუკრძალა სინათლის ანთება სახლებში სამი დღის განმავლობაში. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილებოდა, სასტიკად უნდა ყოფილიყო დასჯილი. დაღონდნენ საწყალი დები, რა ექნათ? სიბნელეში მუშაობა არ მოხერხდებოდა, არ ემუშავათ — მშიერი და რჩებოდნენ. ჩამოათარეს ფანჯრებს მკვრივი ქსოვილი და მოუსხდნენ ლამპარს, რომელიც ძლივს ბუტავდა.

ორმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მესამე ღამეს ფადიშახმა მოისურვა თვით შეემოწმებინა, რამდენად სრულდება მისი განკარგულება. ის რამდე-

ნიმე მხლებლით გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დების სახლთან.

სწორედ ამ ღამეს დებს ფანჯრის კუთხე დაუფარავი დარჩენოდათ. დაინახა ფადიშახმა სინათლე ფანჯარაში და გული მოუვიდა. მხლებელნი შეეცადნენ დაემშვიდებინათ იგი და უთხრეს:

— ხელმწიფე ჩვენო, შევეჩრდეთ; გავიგოთ, ვისია ეს სახლი, იქნებ რაღაც დიდი ვაჭირვება ადგა აქ მცხოვრებელს. თუ ასე არ გამოდგა, რაც უნდა სასჯელი ისურვო, მისი შესრულება ადვილია.

ვაჩრდნენ ფანჯრის ქვეშ ყურის დასაგდებად. დები ამ დროს მუშაობდნენ და მსჯელობდნენ. უფროსმა თქვა:

— ფადიშახმა მე რომ თავის ეკონომზე გამათხოვოს, რა საქმელებს არ მივირთმევ!

— ეხ, მე რომ თავის მკერავზე გამათხოვოს, — თქვა საშუალომ, — ყოველდღე ახალახალი კაბით მოვირთვები.

— ფადიშახმა მე რომ ცოლად წამიყვანოს, — წარმოთქვა უმცროსმა, ისეთ შვილებს ვუშობდი, რომ როცა გაიცინებდნენ — ვარდები გაიშლებოდა, იტირებდნენ — თვალებიდან მარგალიტები წამოსცვივდებოდათ.

მეორე დღეს ფადიშახმა სამივე და სასახლეში მოაყვანინა. უფროსი ეკენომს მიათხოვა, საშუალო — მკერავს და ორივე თავის სასახლეში დაასახლა. უმცროსი კი თვითონ შეირთო. მოახლოვდა დრო, როდესაც უმცროს დას შვილი უნდა გასჩენოდა. უფროს დებს დიდი ხანია შურდათ მისი დიდება, ახლა კი მოსვენება არ ჰქონდათ, ვაი თუ, როგორც თქვა მართლა ისეთი შვილი გააჩინოსო. მოიწვიეს სასახლის ბებია-ქალი და უთხრეს: ებე ხანუმ, გვიშველე როგორმეო!

ბებია-ქალი კი, თურმე, კუდიანი ყოფილა და თქვა:

— ნუ სწუხართ, შვილებო, საქმეს საუკეთესოდ მოვაწყობო. იშოვნა ორი ლეკვი, ჩადო ყუთში და როდესაც ფადიშახის ცოლს ეყოლა მშვენიერი ქალ-ვაჟი, ბავშვების მაგიერ დაუდო დედას ლეკვები. ბავშვები კი ყუთში დამალა. ფადიშახს მოახსენეს, რომ მის ცოლს ორი ლეკვი ეყოლა. მას სისხლი აუვარდა თავში სიბრაზით და ბრძანა ცოლი ჩაეფლათ მიწაში შუა ქალაქში, რომ ყოველ გამვლელს მისცემოდა საშუალება მიეფურთხებინა და ქვა ესროლა მისთვის.

ბებია-ქალმა ბავშვები ისევ ყუთით ქალაქგარეთ გაიტანა, მდინარის ნაპირას ბაღში დააგდო და დაბრუნდა სასახლეში.





მდინარის ნაპირას გამოიარა მებაღემ და ორი ახლადდაბადებული მშვენიერი ბავშვი ნახა. მებაღეს შვილები არ ჰყავდა, უსაზღვროდ გაუხარდა ბავშვების ნახვა, წამოიყვანა თავის ქოხში და ჩააბარა კოლს. მებაღის ცოლმა ჩაუდო ბავშვებს თავისი ძუძუ პირში და რა ნახა! ძუძუში რძე გაუჩნდა. მას უფრო მეტი ვაოცება მოელოდა.

დაიწყო გოგონამ ტირილი — თვალებიდან მარგალიტები წამოლუცვივდა, გაიცინა — წინ მშვენიერი ვარდის ბუჩქი გაჩნდა და ზედ საუცხოო ვარდები გაიშალა. გახარებულმა მებაღემ და მისმა ცოლმა აკრიფეს მარგალიტები, ვარდებისაგან მებაღემ თაიგული გააკეთა და ფადიშახს მიართვა სასახლეში. ფადიშახს მოეწონა საუცხოო ვარდები და კარგა დასაჩუქრა მებაღე. მეორე დღეს ისევ მიართვა მებაღემ ფადიშახს ერთი კალათა ვარდი. ფადიშახი ძალიან კმაყოფილი დარჩა საჩუქრით, დაურიგა ვარდები თავის ამალას და შეეკითხა მებაღეს, როგორ ახერხებს იგი ზამთარში ასეთი საუცხოო ვარდების მოშენებას. მებაღემ ბავშვების ამბავი დამალა.

უფროსი დები მიხვდნენ, რომ ბავშვები ცოცხლები არიან, შეეშინდათ და დაუძახეს ბებია-ქალს.

— ებე ხანუმ! გვიშველე, ბავშვები ცოცხლები არიან, მოახერხე რამე.

— რას მელაპარაკებით, ბავშვები დიდხანია დაიხოცნენ, მე ისინი მდინარის ნაპირას დაეყარე, — უბასუხა ბებია-ქალმა.

მაგრამ მისმა სიტყვებმა დები ვერ დაამშვიდა. ისინი ეხვეწებოდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მოენახა ბავშვები და მოეკლა. ბებია წავიდა ბაღში, სადაც ბავშვები დაყარა. მან იქ ნახა, რომ მებაღის ცოლი ბავშვებს აწოვებდა, მისცა მას სალამი, მიუჯდა გვერდით და ჰკითხა:

— შვილო, ეს შენი შვილებია? რა მშვენიერები არიან, ორმოცდაერთხელ მშვენიერები, თვალი კი არ ეცით.

— ხანუმ! რამდენი წელიწადია გათხოვილი ვარ და შვილები არ მყავდა. მე და ჩემი ქმარი ძალიან ვნაღვლობდით, ალახმა შეგვიბრალა და ეს ბავშვები გამოგვიგზავნა, — უბასუხა მებაღის ცოლმა.

— როგორ მოხდა ეს, შვილო?

— ჩემმა ქმარმა იპოვნა ეს ბავშვები მდინარის ნაპირას ყუთში და ქოხში მოიყვანა. მე მაშინვე შემიყვარდა, შევახვიე და ძუძუ რომ მივეცი, ძუძუში რძე გამიჩნდა. ალახმა მისცა მათ სიცოცხლე და ხანულა ზრუნავს მათზე.

— შვილო, ამბობენ, გოგონა რომ გაიცინებს, ვარდები იშლებო, იტირებს — მარგალიტები ცვივო. ამბობენ, შენ ქმარს უკვე ორჯერ მიუერთმეფა ფადიშახისათვის ეს ვარდები. მართალია?

— მართალია, ჩემო ხანუმ, მართალია.

— შვილო, გაიგონე ჩემი სიტყვა, როგორმე მოიშორეთ ეს ბავშვები, თორემ დიდი უბედურება დაგატყდებათ. არ გამცე, ამას მხოლოდ იმიტომ გუბუნები, რომ მკვიდრი შვილივით შემეყვარდი.

— დედი, შემებრალე, რატომ დაგვატყდება უბედურება?

— შვილო, განა არ გაგიგია, ფადიშახმა რომ სამი და წაიყვანა სასახლეში და უმცროსი მათგანი ცოლად დაისვა. ეს ბავშვები იმ ქალის შვილებია. ფადიშახი გაუწყრა ბავშვების დედას და განკარგულება გასცა დედა მიწაში ჩაეთლათ, ბავშვები კი ვადაეყარათ. დაგიფაროს ალახმა! — დაუმატა ბებიამ და წავიდა.

მებაღის ცოლი დაიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მოვიდა მებაღე და უამბო ყველაფერი. მებაღე შეშინდა და გადაწყვიტა ბავშვები ტყეში წაეყვანა და გამოქვაბულში დაეტყვებინა. ტირილით წაასხეს ბავშვები და ძველ ტომარაზე დასხეს გამოქვაბულში. ტყეში კი შველს ნუკრები ჰყოლოდა და ძუძუში რძე ჰქონდა. აი ეს შველი შედიოდა დილა-სალამოს ბავშვებთან და აწოვებდა ძუძუს. ზღაპარში დრო ჩქარა გადის. ბავშვები რვა-ცხრა წლისა გახდნენ. გოგონას სიცილ-ტირისაგან გამოქვაბული მარგალიტითა და ვარდებით ავსებულყო.

ადამიანის ენა ბავშვებს არ გაეგონათ, ამიტომ ლაპარაკი არ იცოდნენ, ერთმანეთს ნიშნებით ელაპარაკებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭმა შეამჩნია, რომ შველი მუდამ ერთი ბილიკით მიდის, აიღო ცოტა მარგალიტი და გავიდა გამოქვაბულიდან, ბილიკმა გაიყვანა გზაზე, რომელიც ქალაქს მიდიოდა. შევიდა ბიჭი ქალაქში და ნახა, რომ ხალხი რაღაცას





ყიდულობს და ყიდის. ენა მან არ იცოდა, მაგრამ შინც მიუახლოვდა ადამიანებს. გაიწოდა ერთი მარგალიტი და მთელი ხალხი მას შემოეხვია. ნიშნებით ეკითხებოდნენ მარგალიტის ფასს. ბევრი საჭმელი, სასმელი და ტანსაცმელი მისცეს. ბიჭმა ყველაფერი გამოქვაბულში წაიღო. დაქმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გემრიელად შეექცნენ მოტანილს. ბიჭი ცდილობდა ლაპარაკს და დასაც ასწავლიდა. მეორე დღეს ბიჭმა ისევ აიღო ცოტა მარგალიტი და წავიდა ბაზარში, ამ ჯერზე იყიდა ტანსაცმელი, იარაღი, ცხენი, სხვაც ბევრი რამ და დაბრუნდა.

ბიჭი მიეჩვია ქალაქში სიარულს. ისწავლა იარაღის ხმარება და დაიწყო ნადირობა. ერთი ასეთი ნადირობის დროს შეჭვდა ფადიშახს. ბიჭი ისე მოეწონა ფადიშახს, რომ მისი გულში ჩაკვრა უნდოდა და უთხრა თავის ამალას: „რა მშვენიერი ბავშვია. მე ძლიერ შემეყვარა იგი“.

ფადიშახი დაბრუნდა სასახლეში და ნაღვლისაგან ავად გახდა. ორმა დამ გაიგო ფადიშახის ავადმყოფობის მიზეზი და მიხვდნენ, ვინც იყო ეს ბიჭი. დაუძახეს ბებია-ქალს და დაუწყეს ვედრება მიეღო საჭირო ზომები. ბევრი არწმუნა ბებია-ქალმა ბავშვები დიდი ხანია მკვდარნი არიანო, მაგრამ არაფერი გაუვიდა. წავიდა ბებია-ქალი ტყეში და მიაღწა გამოქვაბულს. მივიდა და რას ხედავს, ზის გამოქვაბულში მზესავით მშვენიერი გოგონა, გარშემო კი ვარდები და მარგალიტებია. მისცა ბებია-ქალმა გოგონას სალამი. გოგონა დიდის პატივით მიეგება მას და გამოქვაბულში შეიყვანა.

— შეილო, ნუთუ მარტოდმარტო ხარ ამ უდაბურ ტყეში, ამ გამოქვაბულში?

— არა, დედი, ძმა მყავს.

— დღისით მოწყენილი არა ხარ აქ მარტო?

— რა ვქნა, დედი, მე ვერთობი იმით, რაც აქ არის.

— შეილო, შენს ძმას ძალიან უყვარხარ?

— რასაკვირველია, მაშ რიდას ძმავ?

— მაშ ერთ რასმეს გეტყვი, მხოლოდ არ გამოცე. სალამოს, ძმა რომ დაბრუნდება, დაიწყე ტი-

რილი. რომ შეგეკითხება რატომ ტირილი, შეგხეწე, რაც უნდა გახდეს, გიშოვნოს დილრუკუმ-ხანუმის ბუჩქი. ამაზე საინტერესო არაფერი გეყვარება და დაგა სალამო. გოგონა ისე ტყუილად მოქვაბული მთლად აივსო მარგალიტით, თვალები კი მუშტებს დაემსგავსა. დაბრუნდა ძმა ნადირობიდან და დაუწყო დას გამოკითხვა, თუ რა დაემართა. ბევრი ხვეწნის შემდეგ დამ უთხრა: დილრუკუმ-ხანუმის ბუჩქს თუ არ მიშოვნი, ვიტირებ, მანამ არ მოგკედები ტირილისაგანო. ბიჭმა გაიგონა სიტყვა „დილრუკუმ“ და ჩაფიქრდა.

— ჩემო დაიკო, ისეთი რამ გინდა, რაზედაც მე არაფერი ვიცი. დილრუკუმ-ხანუმ ვინ არის რომ არ ვიცი, ვის ვთხოვო ბუჩქი?

გოგონა კი ტირის და ტირის.

მეორე დღეს წავიდა ბიჭი ქალაქში, იყიდა მრავალი თვის საგზალი, იყიდა მშვენიერი ცხენი და იარაღი. საკვების ნაწილი დას დაუტოვა, გამოემშვიდობა და გაუდგა გზას. გადაიარა მთები, გადაიარა ველები, გადაიარა მინდვრები და მიაღწა კეთილი სულების პერების ხელმწიფის ქვეყანას. იქ ისეთი ველები იყო, რომლებსაც ქარავენებიც ვერ გადაივიდნენ, ისეთი მაღლობები, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდებოდა, ისეთი ვიწრო ხრამები, რომ გველიც ვერ გაცოცდებოდა. ბიჭი კი მიდიოდა და მიდიოდა და გავიდა დიდ ველზე, სადაც გზა-კვალი აღარ ჩანდა. ველის შუაგულში ამართული იყო უზარმაზარი მშვენიერი სასახლე. სასახლეს გარს შემორტყმოდა დევიქალი. შემოჰკრა ბიჭმა შოლტი თავის რაშს, მივიდა დევთან, ჩამოხტა ცხენიდან, დაეწაფა დევის ძუძუს და თქვა: „იყავ ჩემი დედა, როგორც სააქაოს, ისე საიქიოს“. მერე აკოცა ხელზე. ბიჭის სიტყვები ძლიერ მოეწონა დევს და უპასუხა:



— შენც იყავ ჩემი შვილი, როგორც სააქაოს, ისე საიქიოს. მოგკლავდი, მაგრამ შენი ბედა, რომ დედაშენი უდანაშაულოდ ჩაფლულია მიწაში. მისი გულისთვის და კიდევ რადგან ჩემი ძუძუ მოეწოვე, დარჩები უვნებელი. ახლა მომიყევი, რა დაგატყდა თავს, რატომ მოსულხარ აქ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმანი თამარ გეგუბრიშვილისა

შავკანიანები



3. კანონი

შავკანიანთა რიცხვი მთელს მსოფლიოში 400 მილიონამდე აღწევს. მათ თავდაპირველ სამშობლოდ აფრიკა, ავსტრალია და ინდოეთის სამხრეთი ნაწილი ითვლება. ამას გარდა ისინი გაჩნდნენ ამერიკაშიც აფრიკიდან ტყვე-მონების გაყიდვის გზით.


იმ მიზნით, რათა გაემართლებინათ შავკანიანთა მონური შრომის მტაცებლური გამოყენება, ვაბატონებულმა კლასებმა შექმნეს ცრუ, ყალბი შეხედულება, თითქოს შავკანიანი არ არის სრულფასოვანი ადამიანი, თითქოს იგი მაიმუნთან უფრო ახლო დგას, ვიდრე ადამიანთან. სინამდვილეში შავკანიანები სავსებით ისეთივე ადამიანებია თავისი გონებით, გრძნობებით, ნიჭითა და მოხერხებით, როგორც თეთრკანიანები ან ყვითელკანიანები. ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე, მხიარული და ალერსიანი შავკანიანები ახლო გაცნობისას საერთო სიმპათიასა და პატივისცემას იწვევენ. მათი კანის ფერი, თავის ქალისა და სახის მოხაზულობის თავისებურება სამხრეთის მზისა და იმ ბუნების ნაყოფია, რომლის წიაღშიაც მათ უხდებათ ცხოვრება.

შავკანიანები უხსოვარი დროიდან განიცდიდნენ უსამართლო ეროვნულ დევნას, მეტადრე აფრიკის ზანგებს ათიათასობით იჭერდნენ და ყიდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, უფრო კი ამერიკაში.


ამერიკაში „მშვიდობიანად“ მისულთ არაადამიანური ტანჯვა და პირუტყვეული, მონური შრომა ელოდათ. ვინ იცის, უსამართლო ამერიკელ მიწათმფლობელთა ალანტაციებში რამდენ ათას ზანგს დაუღევია სული მძიმე შრომის უღელქვეშ!

შავკანიანი მონები ხელდაკრეფილნი არ იყვნენ ტანჯვა-წამების დროს. ისინი ხშირად უჯანყდებოდნენ სასტიკ მტარვალთ, რამდენადმე შურსაც იძიებდნენ მებატონეებზე, მაგრამ ცეცხლისმფრქვეველი იარაღებით შეჭურვილი თეთრკანიანები სისხლში ატანდნენ მათ წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობას.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში მთელი რიგი მიზეზების გამო მოხდა მონათა „განთავისუფლება“. ერთი ნაწილი სასწრაფოდ აფრიკაში გაემგზავრა და იქ ბატარა რესპუბლიკა ლიბერია (ლიბერო უცხო სიტყვაა, თავისუფლებას ნიშნავს) დაარსა, დიდი ნაწილი კი დღემდე ნახევრად მონურ პირობებში ცხოვრობს. ზანგი ვერ სარგებლობს პოლიტიკურ-მოქალაქობრივი უფლებებით, მათ წინააღმდეგ გამოყენებულია კანონი, რომლის მიხედვით შავკანიანებს არა აქვთ უფლება თეთრკანიანებთან ერთად იყვნენ ჯარში, სკოლაში, თეატრში, დაწესებულებაში.




შავკანიანების სახლი



შავკანიანები



ექსკურსია ველოსიპელებით



ოთხმა ველოსიპედისტმა გადაწყვიტა მოეწყო ექსკურსია ქალაქში (ამ ქალაქის ხედი ნაჩვენებია ნახატზე). ველოსიპედისტებმა უნდა დაათვალიერონ ყველა ქუჩა ამ ქალაქისა, შემდეგი პირობით: არ გამოსტონ არც ერთი ქუჩა და არც ერთ ქუჩაზე არ გაიარონ ორჯერ.

საიდან უნდა დაიწყონ ექსკურსია, რომ შესრულდებულ იქნას ეს პირობა?



ნახაზი-გამოსანა

კიდევ ვის სურს სურათის გადაღება ბავშვების ამ ჯგუფთან ერთად?

